

სკოპინგის დასკვნა N 63

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: ქობულეთის შემოვლითი გზის ოთხზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: ქობულეთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტები;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 3.10.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „ჯეონეიჩარ კორპორაცია“;

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წარმოდგენილია ქობულეთის შემოვლითი გზის ოთხზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაციის სკოპინგის ანგარიში.

2014 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის „მონაკვეთი 2: ქობულეთის შემოვლითი გზის (კმ16+500-კმ18+860) ცვლილებასთან დაკავშირებულ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე“ გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №45, რომლის საფუძველზეც „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, 2021 წლის 22 აპრილს გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-516).

ქობულეთის დაახლოებით 31,3 კმ სიგრძის არსებული შემოვლითი გზა იწყება შეკვეთილიდან და მთავრდება ჩაქვი-მახინჯაურის გვირაბებთან. არსებულ გზაზე მოწყობილია 7 კვანძი, ორი გვირაბი, ხიდები და გზაგამტარების ბურჯები. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ქობულეთის არსებული შემოვლითი გზის ოთხზოლიან მაგისტრალად მშენებლობა/მოდერნიზაცია დაგეგმილია ქობულეთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების საზღვრებში. მარშრუტის ფარგლებში გზა გაივლის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ნაკვეთებისა და საკარმიდამო ტერიტორიების მომიჯნავედ, რომელიც გადაკვეთს მდინარეებს (მდ. ნატანებს, ჩოლოქს, ოჩხამურს, აჭყვას, კინტრიშს, დეხვას, ჩაქვისწყალს და სხვა მცირე ზომის ზედაპირული წყლის ობიექტებს) და ბოლო მონაკვეთზე გზა განთავსდება მახინჯაურის გვირაბის სიახლოვეს. საპროექტო გზის საწყისი და საბოლოო წერტილების GPS კოორდინატებია: X-729949.7979, Y-4645399.3110; X- 727444.4717, Y- 4620257.5663.

სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის განხილულია საავტომობილო გზის

ადგილმდებარეობის, გვირაბების გაყვანის ტექნოლოგიის, ხიდების, სამშენებლო ბანაკების და უმოქმედობის (ნულოვანი) ალტერნატივები. სკოპინგის ანგარიშში მოცემულია გზის მთლიანი მონაკვეთის (ქობულეთის შემოვლითი გზის ოთხზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაციის) ადგილმდებარეობის 3 ალტერნატიული ვარიანტის ურთიერთშედარების შესახებ ინფორმაცია. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გარემოსდაცვითი, ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების ურთიერთშედარების საფუძველზე უპირატესობა მიენიჭა II ალტერნატივას (დამატებითი ორზოლიანი გზის მოწყობა კომბინირებულად, როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა მხარეს).

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო გზა დაახლოებით 14 კმ-ის მანძილზე მიუყვება არსებულ ორზოლიან გზას პარალელურად, ხოლო შემდგომ გარკვეულ მონაკვეთებში, მრუდების გაუმჯობესების მიზნით, გადადის არსებული გზის მარჯვენა მხარეს. საპროექტო გზის საერთო სიგრძეა დაახლოებით 30,37 კმ. საავტომობილო გზის დერეფანში გათვალისწინებულია ორი დამატებითი კვანძის მოწყობა და არსებული გვირაბების პარალელურად 2 ახალი, ორზოლიანი გვირაბის მშენებლობა. ასევე დაგეგმილია ახალი ხიდების და გზაგამტარების ბურჯების მოწყობა, რომლებიც განთავსებული იქნება, არსებული ხიდებისა და გზაგამტარების ბურჯების გასწვრივ. საპროექტო გზაზე მაქსიმალური დასაშვები სიჩქარე იქნება 120 კმ/სთ.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ახალი დამატებითი ზოლის მოწყობისთვის დაგეგმილია საპროექტო მონაკვეთზე არსებული 7 კვანძის მოდერნიზაცია და კვანძის გახსნის მიზნით, დამატებით 2 ახალი დაერთების მოწყობა. **სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო კვანძების ადგილმდებარეობები, კონსტრუქციული გადაწყვეტები და შესაბამისი საპროექტო ნახაზები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ეტაპზე.**

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ხიდების მოწყობა, რომელიც განთავსდება არსებული ხიდების გასწვრივ. მათ შორის პროექტი ითვალისწინებს გზასატარების ბურჯების, ნაპირდამცავი ნაგებობების, სახიდე გადასასვლელების, გზის გადამკვეთი ტრასების, ვაკისის ქვეშ ცხოველთა გადასასვლელების მოწყობასაც. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს დეტალური ინფორმაცია პროექტის ფარგლებში მოსაწყობი ხიდების შესახებ, თითოეული ხიდის განთავსების ადგილების აღწერით, ფიზიკური მახასიათებლებისა და ტექნიკური პარამეტრების მითითებით.**

საპროექტო გზის ფარგლებში, სოფ. ქვედა აჭყვასთან და დაბა ჩაქვთან არსებული გვირაბების პარალელურად დაგეგმილია არსებული გვირაბების პარალელურად ორი ახალი, ორზოლიანი გვირაბის გაყვანა. პირველი გვირაბის (სოფ. ქვედა აჭყვასთან) სიგრძე შეადგენს 250 მ, ხოლო მეორე გვირაბის (დაბა ჩაქვთან) - 164 მეტრი (გვირაბების საერთო სიგრძე იქნება 414 მ). ანგარიშის თანახმად, ორივე გვირაბი განთავსდება შედარებით დაბალ სიღრმეზე. გვირაბების გაყვანა გათვალისწინებულია სუსტ, გამოფიტული გრუნტის შრეებში და მაღალი ფრაქციის ანდეზიტ-ბაზალტის შრეებში, რომელიც შეიცავს თხევად, მოყავისფრო-მოწითალო თიხნარს,

ღორღს და ტუფობრეჭიას. სოფ. ქვედა აჭყვასთან გვირაბის მოწყობისას გამოყენებული იქნება სამთო (დახურული) მეთოდი, ხოლო დაბა ჩაქვთან გვირაბის მშენებლობა გათვალისწინებულია ღია წესით. გვირაბებთან ერთად გათვალისწინებულია სადრენაჟე სისტემის მოწყობა.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო ბანაკებისთვის შერჩეულ იქნა 6 ალტერნატიული ტერიტორია, რომელთაგან ამ ეტაპზე უპირატესობები მიენიჭება: №1, №2, №4 და №5ა სამშენებლო ბანაკებს. აღნიშნული ტერიტორიები წარსულში გამოიყენებოდა ანალოგიური საქმიანობისთვის, შესაბამისად ხელმისაწვდომი კომუნიკაციებით და სახეცვლილი ლანდშაფტით ხასიათდება. სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 24 თვეს. ანგარიშის თანახმად, სამშენებლო ბანაკების ტერიტორიის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა კრიტერიუმები და რეკომენდაციები, მათ შორის: ბანაკის მოწყობა სამშენებლო დერეფნებთან სიახლოვეს, კომუნიკაციების (წყალი, ელენერგია, არსებული გზები და სხვა) და დამაკმაყოფილებელი ბუნებრივი პირობების ხელმისაწვდომობა, სენსიტიური უბნებიდან (მაგ: სახლები, დაცული ტერიტორია და სხვა) მოშორებით.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გზის მოდერნიზაციის პროცესში ზემოქმედების ქვეშ ექცევა: სხვადასხვა ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, რეგიონული და ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, საწრეტი არხები, მიწისქვეშა მილსადენები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წყლის გამოყენება საჭირო იქნება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით (სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტებისთვის და გზების პერიოდული მორწყვის მიზნით). სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით წყალმომარაგება გათვალისწინებულია სამარაგო რეზერვუარებით ან ბუტილირებული სახით. ტექნიკური მიზნებისთვის წყლის აღება გათვალისწინებულია ახლომდებარე მდინარეებიდან. სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვა მოხდება საასენიზაციო რეზერვუარების მეშვეობით, ხოლო სამშენებლო მოედნებზე გამოყენებული იქნება გადასატანი ტუალეტები. დაგროვილი წყლები გატანილი იქნება სპეციალური საშუალებებით და უტილიზაცია გაუკეთდება უახლოეს საკანალიზაციო სისტემებში. ანგარიშის მიხედვით, ბეტონის კვანძი სრულად მოიხმარს წყალს და ჩამდინარე წყლების წარმოქმნას ადგილი არ ექნება. ხოლო სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო(ებ)ი გამოყენებულ წყალს ჩაუშვებს მიმდებარედ არსებულ წყლის ობიექტებში. ჩამდინარე წყლის წინასწარი გაწმენდის მიზნით გათვალისწინებულია, შესაბამისი წარმადობების სალექარების ან სხვა ტიპის გამწმენდი ნაგებობების გამოყენება. ხოლო სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკების შემცირების მიზნით გატარდება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (მათ შორის: საწვავის რეზერვუარების შემოზღუდვით აღჭურვა, დაბინძურების მაღალი რისკის მქონე ობიექტების გადახურვა ფარდულის ტიპის ნაგებობებით და სხვა).

ანგარიშის თანახმად, წყლის გარემოზე ზემოქმედების მხრივ მგრძობიარე მონაკვეთს წარმოადგენს საწყისი უბანი, სოფ. შეკვეთილიდან მდ. კინტრიშამდე, სადაც საპროექტო დერეფანი კვეთს მდინარეებს და საწრეტ არხებს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, **გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი იქნება ყველა გადამკვეთი ზედაპირული წყლის ობიექტის ჰიდროლოგიური გაანგარიშება (საპროექტო კვეთებში მაქსიმალური ხარჯები, მორეცხვის სიღრმეები, წყლის დონეები).** სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო დერეფნის დიდი ნაწილი გაივლის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, პროექტის ზემოქმედების ზონაში ექცევა 581 მიწის ნაკვეთი (კერძო საკუთრება 193), საიდანაც ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია ზოგადი ინფორმაცია გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებისა და იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება გარემოზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთის ფარგლებში სახიფათო გეოდინამიკური პროცესებიდან ფიქსირდება დაჭაობება, სიღრმული და გვერდითი ეროზია და მეწყრული პროცესები. განსაკუთრებით ინტენსიურია მეწყრული პროცესები ლატერიტული თიხების გავრცელების არეალში. **გზმ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს შეფასებული საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური, გეოდინამიკური და გეომორფოლოგიური პირობები (მათ შორის საავტომობილო გზის ფარგლებში ჭრილების ფერდობზე განვითარებული პროცესები).**

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მიწის სამუშაოების, ტექნიკის/სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილების და მუშაობისას ადგილი ექნება ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებას და ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევას. ანგარიშის თანახმად, როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპებზე გატარდება სხვადასხვა შემარბილებელი ღონისძიებები.

როგორც უკვე აღინიშნა, საპროექტო გზის მთლიანი სიგრძე ემთხვევა არსებულ გზას, შესაბამისად, ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობის შედეგად ჰაბიტატების დამატებითი ფრაგმენტაცია არ არის მოსალოდნელი. საპროექტო დერეფნის შესაბამის ადგილებში, ვაკისის ქვეშ, გათვალისწინებულია ცხოველთა გადასასვლელების მოწყობას. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო გზის დერეფნიდან უახლოეს დაცულ ტერიტორიამდე (ქობულეთის დაცული ტერიტორია) და ზურმუხტის ქსელის დამტკიცებული საიტის - ქობულეთის (GE000060) საზღვრებამდე შეადგენს 0,9 კმ-ს. ზურმუხტის ქსელის უბანზე წარმოდგენილია რეზოლუცია #4-ის მხოლოდ ერთი ჰაბიტატი: D1.2 - საფრიანი ჭაობები. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო დერეფნის ნაწილი კვეთს ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიას (SPA 16 Batumi).

საავტომობილო გზის მოდერნიზაციის ეტაპზე მოსალოდნელია სახიფათო, არასახიფათო და ინერტული ნარჩენების წარმოქმნა. მაგისტრალის მოდერნიზაციის ეტაპზე წარმოიქმნება სხვადასხვა სახის სახიფათო ნარჩენი, რომელიც გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორებს, ხელშეკრულების საფუძველზე. საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი არასახიფათო ნარჩენების გატანა მოხდება ნაგავსაყრელზე. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე შესაძლებელია აზბესტემცველი ნარჩენების წარმოქმნა (დერეფნის გასხვისების ზოლში მოქცეული შენობა-ნაგებობების დემონტაჟისა და აზბესტემცველი მილების გადაკვეთის, ასევე მიწის სამუშაოების დროს). სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, **ნარჩენების წარმოქმნით გამოწვეული ზემოქმედების, წარმოსაქმნელი ნარჩენებისა და მართვის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება გზმ-ის ანგარიშში.**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა მოხდება საპროექტო დერეფნის საწყის მონაკვეთზე, საწყისი წერტილიდან მდ. კინტიშის გადაკვეთამდე (წინასწარი გაანგარიშებების მიხედვით, მოხსნილი ჰუმუსოვანი ფენის მიახლოებითი რაოდენობა შეადგენს 103000 მ³-ს). ხოლო **მუდმივ განთავსებას დაქვემდებარებული გამონამუშევარი ფუჭი ქანების რაოდენობა დაზუსტდება გზმ-ის ეტაპზე.** კუმულაციურ ზემოქმედებასთან დაკავშირებით, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ საპროექტო გზის მშენებლობის ეტაპზე სხვა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები არ იგეგმება.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით გავრცელების მიზნით სააგენტომ უზრუნველყო წარმოდგენილი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში გაგზავნა. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე, ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე და ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის ყველა გამომწერს ელ. ფოსტის მეშვეობით. ინფორმაცია ასევე გაიგზავნა ქობულეთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიამი და გამოქვეყნდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში. გარდა ამისა, საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართა 2024 წლის 30-31 ოქტომბერს და პირველ ნოემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტში სოფ. ბობოყვათში, სოფ. ჩაქვში, სოფ. ციხისძირში, სოფ. ხუცუბანში და სოფ. საჩინოში. საჯარო განხილვებს ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ჯეონეიჩარ კორპორაციას“, ქობულეთის მუნიციპალიტეტის და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები და დაინტერესებული საზოგადოება. საჯარო განხილვებზე, შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, რაზეც საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა გააკეთეს შესაბამისი განმარტებები. დაინტერესებული საზოგადოების კითხვები ასევე ეხებოდა მაგისტრალის

სოფლებთან დამაკავშირებელი გზების მოწყობას, ავტობანის მიმდებარე ტერიტორიის ნარჩენებით დაბინძურების საკითხს, მშენებლობის პროცესში ხმაურითა და ვიბრაციით გამოწვეულ ზემოქმედებას, სადრენაჟე სისტემის გაუმართაობას და წვიმის დროს შექმნილ პრობლემებს. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობა დაინტერესდა პროექტის განხორციელებით ისპანის ჭაობზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხზე, რასთან დაკავშირებითაც საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული პროექტით საპროექტო გზა დაშორებული იქნება ისპანის ჭაობიდან დაახლოებით 900 მეტრით. საჯარო განხილვებზე გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები და შესაბამისი პასუხები/განმარტებები აისახა საჯარო განხილვის ოქმებში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე პროექტთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები სააგენტოში არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები, განისაზღვრა და დადგინდა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზშ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზშ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზშ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზშ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).
5. გზშ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:
 - დაგეგმილი საქმიანობების დეტალური აღწერა;

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის არაქმედების (ნულოვანი) ალტერნატივის, ტექნიკური პარამეტრების ალტერნატივების, ადგილმდებარეობის ალტერნატივების ანალიზი და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული ალტერნატივების აღწერა-დასაბუთება. გზშ-ის ანგარიშის შესაბამის ქვეთავში, დეტალურად უნდა იქნეს დასაბუთებული საავტომობილო გზისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (სამშენებლო ბანაკ(ებ)ი/მოედანი) განთავსების ალტერნატიული ვარიანტებიდან შერჩეული ალტერნატივების გარემოსდაცვითი, სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური უპირატესობები;
- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა-დახასიათება, საპროექტო გზის ინფრასტრუქტურის ობიექტების აღწერა;
- საპროექტო ტერიტორიის დეტალური აღწერა/გარემო პირობების დახასიათება;
- მთლიანი გზის და საპროექტო გზის გენერალური გეგმა, მაღალი გარჩევადობით და შესაბამისი ექსპლიკაციით, სადაც დატანილი იქნება გზის შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტები. ასევე წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო გზის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის GPS კოორდინატები, Shp ფაილებთან ერთად (Shp ფაილები შესაბამისობაში უნდა იყოს გზის საპროექტო მახასიათებლებთან, ასევე ცალკე უნდა იქნეს გამოყოფილი საავტომობილო გზის, ხიდების, გვირაბების, ესტაკადების ფენები და ბუფერული ზონები);
- საპროექტო გზიდან და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე, მდინარემდე და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტებამდე დაზუსტებული მანძილები;
- საპროექტო გზის პარამეტრები (სიგრძე, სიგანე, ქანობი და სხვ.), მათ შორის: გზის კვანძების ადგილმდებარეობის და რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, გეომეტრიული პარამეტრების, გზის საფარისა და განივი კვეთების შესახებ ინფორმაცია, ასევე ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების მოწყობის შესახებ ინფორმაცია;
- საპროექტო გზის გასასვლელების, წყალსარინი არების მოწყობის, პროფილირების და განივი დრენაჟის მილების/კიუვეტების მოწყობის შესახებ დეტალური ინფორმაცია;
- საპროექტო ხიდების დეტალური აღწერა, მათ შორის ხიდების პარამეტრების (ბურჯების, მალის ნაშენის და სხვ.), ხიდის საფარის, განივი კვეთების, სამოდრაო ზოლების შესახებ ინფორმაცია;

- ინფორმაცია გარემოს სხვადასხვა ფაქტორების ზეგავლენისგან საავტომობილო გზის დაცვის ღონისძიებებისა და შემოთავაზებული დამცავი ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ;
- საპროექტო გვირაბების ტექნიკური პარამეტრების შესახებ ინფორმაცია (სიგრძე, სიმაღლე და დიამეტრი, განივი კვეთების, სამოდრაო ზოლების შესახებ ინფორმაცია), ინფორმაცია გვირაბების კონსტრუქციის, გვირაბის პორტალებისა და მათი მოწყობის გეგმის, ასევე სავენტილაციო სისტემის და ჰიდროსაიზოლაციო ფენის შესახებ, მათ შორის განხილული უნდა იქნეს გვირაბის გაყვანის დროს გრუნტის წყლების შემოდინებისა და მართვის საკითხები, ასევე მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო შტოლნების შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია გვირაბების პორტალებთან დამაკავშირებელი მონაკვეთების/მისასვლელების მშენებლობის შესახებ, საპროექტო პარამეტრების, მშენებლობის გეგმისა და მოსალოდნელი ზემოქმედების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია გვირაბების გაყვანის შერჩეული მეთოდის შესახებ. ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს განხილული გვირაბების გაყვანის სამუშაოებისა და შემდგომი ექსპლუატაციის საკითხები;
- დეტალური ინფორმაცია/გეგმა ბურღვა-აფეთქებების სამუშაოების განხორციელების სიხშირის და დღის მონაკვეთის შესახებ. მათ შორის, აფეთქებითი სამუშაოების ჩატარების დროის შეზღუდვის შესახებ ინფორმაცია;
- დეტალური ინფორმაცია გვირაბის ღია წესით გაყვანის შესახებ (სამუშაოების განხორციელების სიხშირის და დღის მონაკვეთის გათვალისწინებით);
- გვირაბებში წყალსარინი არხების/ღარების ან/და დრენაჟის მილების მოწყობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია გვირაბების მოწყობა-ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ნაჟური წყლების მართვის შესახებ, მათ შორის ნაჟური წყლების ორგანიზებულად შეკრებისა და მისი ტერიტორიიდან გაყვანის შესახებ, საბოლოო ჩაშვების პირობებისა და წერტილის მითითებით;
- გვირაბების სიახლოვეს სახანძრო-სატუმბო სადგურისა და წყლის რეზერვუარის მოწყობის საჭიროების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია (მათ შორის წყალმომარაგების შესახებ ინფორმაციის მითითებით);
- დეტალური ინფორმაცია მშენებლობის პროცესში გამოსაყენებელი მისასვლელი გზების შესახებ;
- დაზუსტებული ინფორმაცია ფერდობის მოხსნის საჭიროების შესახებ, შესაძლო გეოდინამიკური რისკების გააქტიურებისა და მათი მართვის ღონისძიებების მითითებით;
- ევაკუაციის შემთხვევაში საჭირო გასასვლელების მოწყობის შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია;

- დეტალური ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყალმომარაგების შესახებ, გამოსაყენებელი წყლის რაოდენობისა მითითებით. ასევე, ინფორმაცია წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლების მართვის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი, მათ შორის სანიაღვრე, წყლების მართვის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობის საჭიროების შესახებ - ნაგებობის ტიპის პარამეტრებისა და ეფექტურობის მითითებით. გზშ-ის ანგარიშში მითითებული უნდა იქნეს ნაპირსამაგრი ნაგებობის/ნაგებობების ტიპი, პარამეტრები და ადგილმდებარეობები (GPS კოორდინატები, shp ფაილები, სქემატური ნახაზები), ამასთან, წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია ნაპირსამაგრი ნაგებობის/ნაგებობების მოწყობით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობის ფარგლებში ფიზიკური/ეკონომიკური განსახლების შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- პროექტის ფარგლებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა, დასაქმებულთა შორის ადგილობრივი მოსახლეობის წილის მითითებით, ასევე ინფორმაცია პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
- ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/საძიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ.

5.1 პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოების, მათ შორის ბანაკის/ბანაკების და სანაყაროს/სანაყაროების, შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

- დეტალური ინფორმაცია სამშენებლო სამუშაოების შესახებ, შესაბამისი გეგმა-გრაფიკის და ვადების მითითებით (გვირაბების, სახიდე გადასასვლელების და სხვა მონაკვეთების სამშენებლო სამუშაოების მითითებით), მათ შორის გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს სამშენებლო სამუშაოების ვადების შესახებ ინფორმაცია;
- ინფორმაცია მშენებლობაში გამოყენებული ტექნიკისა და რაოდენობის შესახებ;
- დეტალური ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის სამუშაოების/გრუნტის სამუშაოების და სარეკულტივაციო სამუშაოების შესახებ („ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა დაცვით);
- ინფორმაცია მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობისა და მისი განთავსების პირობებისა და ადგილმდებარეობების (GPS კოორდინატები, Shp ფაილები) შესახებ;
- მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების რაოდენობა და მართვის საკითხები. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ფუჭი ქანების/გრუნტის განთავსების

მუდმივი/დროებითი ადგილების (სანაყაროს/სანაყაროების) შესახებ დეტალური ინფორმაცია სანაყაროს/სანაყაროების ფართობისა და GPS კოორდინატების (shp ფაილებთან ერთად) მითითებით. დასაბუთებული უნდა იყოს სანაყაროს/სანაყაროების განთავსებისთვის შერჩეული ადგილის/ადგილების გარემოსდაცვითი, სოციალური და ტექნიკური უპირატესობები;

- ფუჭი ქანების დასაწყობების პროცესში სანაყაროს/სანაყაროების სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარების საჭიროების შესახებ ინფორმაცია;
- დაზუსტებული ინფორმაცია სამშენებლო ბანაკის/ბანაკების, სამშენებლო მოედნის/მოედნების შესახებ, დაზუსტებული ადგილმდებარეობის (GPS კოორდინატების მითითებით, shp ფაილებთან ერთად), ფართობისა და განსათავსებელი ობიექტების შესახებ ინფორმაცია, გენ-გეგმისა და შესაბამისი ექსპლიკაციის მითითებით. შერჩეული ტერიტორიის დეტალური აღწერა;
- მშენებლობისთვის საჭირო სამშენებლო მასალების მოპოვებისა და ობიექტების მოწყობის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის: დაზუსტებული ინფორმაცია მშენებლობის ეტაპზე ბეტონის კვანძისა და სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს მოწყობის შესახებ. ამასთან, განხილული უნდა იქნეს ბეტონის კვანძისა და სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქროს ექსპლუატაციის ეტაპთან დაკავშირებული ზემოქმედების საკითხები (მოწყობის შემთხვევაში);
- სამშენებლო ბანაკის/ბანაკების ტერიტორიაზე (არსებობის შემთხვევაში) საწვავის შესანახი რეზერვუარის ტიპის, ტევადობისა და განთავსების პირობების შესახებ ინფორმაცია.

5.2 გზშ-ის ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი, რომელიც უნდა მოიცავდეს შემდეგს:

გარემოს ფონური მდგომარეობის აღწერა:

- რელიეფი (გეომორფოლოგია);
- გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა;
- სეისმური პირობები;
- ჰიდროგეოლოგიური პირობები;
- საინჟინრო-გეოლოგიური (გეოტექნიკური) პირობების აღწერა (მათ შორის მონაკვეთის პიკეტური აღწერა, რომელიც თავის მხრივ უნდა მოიცავდეს ტერიტორიაზე არსებული გეოლოგიური პროცესების შეფასებასაც).

გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება:

- ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე;
- საშიში გეოლოგიური პროცესების შესაძლო გააქტიურების განსაზღვრა საპროექტო გზის მშენებლობა-ექსპლუატაციის პერიოდში, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;

- ფუჭი ქანების განთავსების ადგილის (სანაყაროების) და სამშენებლო ბანაკების მოწყობისათვის შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენა განსახილველად.

5.3 გზშ-ის ანგარიშის ბიომრავალფეროვნების შეფასების ნაწილი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას განხილული და დასაბუთებული ალტერნატივები, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. ამასთან, დეტალურად უნდა იქნეს აღწერილი შერჩეული ალტერნატივა;
- გზშ-ის ანგარიშში უნდა იქნეს წარმოდგენილი, ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების დამატებითი კვლევა, რომლის ფარგლებშიც საჭიროა დეტალურად იქნეს აღწერილი საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ფლორა და ფაუნა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს საპროექტო ტერიტორიაზე გავრცელებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებით და საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცულ სახეობებსა და მათ ჰაბიტატებზე, ასევე კვლევის შედეგების მიხედვით, განახლდეს შემარბილებელი ღონისძიებები და შემუშავდეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის გეგმა (ან შესაბამისი საკითხები აისახოს ერთიან მონიტორინგის გეგმაში), სადაც სამონიტორინგო დაკვირვებები მოცემული იქნება ბიომრავალფეროვნების ცალკეული კომპონენტისთვის. გეგმაში უნდა აისახოს ასევე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების, მონიტორინგის ჩატარების სიხშირისა და ვადის/ხანგრძლივობის, სააგენტოსთან ანგარიშგების საკითხები;
- საპროექტო ტერიტორიის მცირე ნაწილი კვეთს ფრინველთა სპეციალურ დაცულ ტერიტორიას (SPA 16 Batumi). აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ის ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ფრინველებზე შესაძლო ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით დაგეგმილ შემარბილებელ ღონისძიებებზე. ვინაიდან, საპროექტო ტერიტორია ახლოს მდებარეობს ქობულეთის დაცულ ტერიტორიებთან, რომელიც თავის საზღვრებში წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ საიტს - (ქობულეთი - GE0000060), მნიშვნელოვანია პროექტი დაიგეგმოს და განხორციელდეს ისე, რომ მნიშვნელოვანი ზიანი არ მიადგეს ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ (ბერნის) კონვენციით დაცულ სახეობებსა და ჰაბიტატებს;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების ამსახველი დეტალური ინფორმაცია, სათანადო პრევენციული ქმედებების აღწერით.

6. პროექტის განხორციელების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებების შეჯამება, მათ შორის:

- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, მათ შორის ემისიები სამშენებლო ტექნიკისა და სამშენებლო მასალების დამამზადებელი ობიექტის (არსებობის შემთხვევაში) მუშაობისას, გაბნევის ანგარიშის მითითებით. ამასთან, წარმოდგენილი უნდა იყოს ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებები;
- საპროექტო გზის, ხიდებისა და გვირაბების მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. **ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება დეტალურად შეფასებული უნდა იქნეს გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე, შესაბამისი შემარბილებელი და პრევენციული ღონისძიებების მითითებით;**
- პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს არსებობის/მოწყობის შემთხვევაში, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია მდინარეების ჰიდროლოგიური რეჟიმის (მათ შორის, მაქსიმალური ხარჯები, კალაპოტის გარეცხვის სიმაღლე და სხვ) შესახებ. ასევე, წარმოდგენილი უნდა იქნეს მაქსიმალური წყალმოვარდნის კოეფიციენტის შესახებ ინფორმაცია, რომელზეც იქნება დაპროექტებული საავტომობილო გზა, განსაკუთრებით სახიდე მონაკვეთები და ნაპირდამცავი ნაგებობები;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული/შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტებზე, ეფექტური და დასაბუთებული შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების რაოდენობისა და მართვის შესახებ, მათ შორის დეტალური ინფორმაცია სამშენებლო ბანაკების ტერიტორიაზე მოსაწყობი გამწმენდი ნაგებობების/სალექარების შესახებ (ტიპები, განთავსების ადგილები, პარამეტრები, გაწმენდის ეფექტურობა). ასევე ინფორმაცია გაწმენდილი ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის შესახებ (GPS კოორდინატები, Shp ფაილები). გამწმენდი ნაგებობ(ებ)ის/სალექარ(ებ)ის მოწყობის შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნას

ინფორმაცია წარმოქმნილი ლამის რაოდენობისა და შემდგომი მართვის ღონისძიებების შესახებ;

- პროექტის განხორციელების ფარგლებში, ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვების შემთხვევაში გზშ-ის ანგარიშს თან უნდა დაერთოს კანონმდებლობით გათვალისწინებული - ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების (ზდჩ) პროექტი;
- გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ ინფორმაცია;
- პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება ბიოლოგიურ გარემოზე, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკის (გვირაბების გაყვანა) გათვალისწინებით ყურადღება გამახვილდეს მღრღნელებზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე, შემარბილებელი/პრევენციული ან/და საკომპენსაციო ღონისძიებების მითითებით;
- ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილებით მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალური შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, მიწის საკუთრებასა და გამოყენებაზე, ბუნებრივი რესურსების შეზღუდვაზე. ამასთან, განისაზღვროს ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. **გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოქმედებას დაქვემდებარებული მიწის ნაკვეთების მფლობელების ინფორმირებისა და მათთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;**
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, პრევენციული ღონისძიებების მითითებით. მათ შორის, გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნას წარმოდგენილი ინფორმაცია ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების (მათ შორის აზბესტშემცველი ნარჩენები) და მათი შემდგომი მართვის შესახებ, „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;
- **ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირების, ასევე საჯარო განხილვაზე გამოთქმული მოსაზრებების/შენიშვნების დეტალურად განხილვისა და მათი გათვალისწინების შესახებ;**
- შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით (გზშ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში ჩართული იყოს შესაბამისი კომპეტენციის სპეციალისტი/სპეციალისტები, რათა გამოირიცხოს შესაძლო არქეოლოგიური ობიექტების დაზიანების რისკები);

- მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე სატრანსპორტო გადაზიდვებით/სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების, მათ შორის სატრანსპორტო ნაკადებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გზშ-ის ანგარიშში დეტალურად უნდა იქნეს განხილული დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შედეგად საპროექტო არეალში არსებული კომუნიკაციებისა და მასზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია (შესაბამისი ტექნიკური-საინჟინრო გადაწყვეტების მითითებით), ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოქმედებას დაქვემდებარებული კომუნიკაციების მფლობელების ინფორმირებისა და მათთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, გზშ-ის ანგარიშში ცალკე ქვეთავში უნდა აისახოს კომუნიკაციების გადატანის შედეგად გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი/საკომპენსაციო ღონისძიებები;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით მოსალოდნელი გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში;
- პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპებზე, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასების ნაწილში განხილული უნდა იქნეს საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს მსგავსი და სხვა მასშტაბური ტიპის (როგორც მიმდინარე, ისე დაგეგმილი) სამშენებლო სამუშაოები;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით გამოწვეული გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების აღწერა, რომელიც განპირობებულია ავარიისა და კატასტროფის რისკების მიმართ საქმიანობის მოწყვლადობით;
- პროექტის მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების შესახებ ინფორმაცია, მართვის ღონისძიებების მითითებით. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი;
- დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა (შესაბამისი საკონტროლო წერტილების მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზშ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის განხორციელების პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზშ-ის ანგარიშში:

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იდენტიფიცირდება არსებული და საპროექტო ხიდების რაოდენობა (მათ შორის shp ფაილებში), რაც დაზუსტებას საჭიროებს გზშ-ის ეტაპზე. გარდა ამისა, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს საპროექტო ხიდების შესახებ დეტალური ინფორმაცია (განთავსების ადგილები და მათი აღწერა, ფიზიკური მახასიათებლები, ტექნიკური პარამეტრები და სხვ.);
- წარმოდგენილ shp ფაილებს არ აქვს მინიჭებული პროექცია, რაც გზშ-ის ეტაპზე საჭიროებს კორექტირებას;
- სკოპინგის ანგარიშის ცხრილში 3.6.1 მოცემული ინფორმაცია, ალტერნატიული ვარიანტების შედარების შესახებ (მაღალი და დაბალი ზემოქმედების მასშტაბები) ურთიერშეუსაბამოა, რაც გზშ-ის ანგარიშში საჭიროებს დაზუსტებას/კორექტირებას;
- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია კვეთს ჩოლოქის კერამზიტის გამოვლინების კონტურს. ტერიტორიის გამოვლინის კონტურთან თანაკვეთის ფართობზე (47480 კვ.მ) კერამზიტის მარაგი შეადგენს 104456 მ³-ს. „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, 1 მ³ კერამზიტის (სხვა საშენი მასალები) მოპოვებისათვის მოსაკრებელი შეადგენს 0.7 ლარს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „სასარგებლო წიაღისეულის საბადოს ფართობების განაშენიანება დასაშვებია, თუ განაშენიანების მსურველი წიაღისეულის მესაკუთრეს კომპენსაციის სახით გადაუხდის სასარგებლო წიაღისეულის იმ სახეობის საფასურს (შესაბამისი წიაღისეულით სარგებლობისათვის „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებლის ოდენობით), რომლით სარგებლობასაც იგი ზღუდავს ან აფერხებს დაგეგმილი განაშენიანებით“. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშს თან უნდა ახლდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების/კომუნიკაციის ამსახველი დოკუმენტაცია;
- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული დაცვის სააგენტოს ცნობით, საპროექტო მონაკვეთი არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. თუმცა, ამასთან, წარმოდგენილი სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთზე იკვეთება არქეოლოგიურად სენსიტიური რამდენიმე წერტილი, შესაბამისად გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს არქეოლოგიური კვლევის ანგარიში;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ორი, 250 მ და 164 მ სიგრძის გვირაბის მშენებლობა (საერთო სიგრძე 414 მეტრი). ამასთან, ცხრილში 2.6.2.1. მითითებულია, რომ დაგეგმილია ორი, 477 მ საერთო სიგრძის გვირაბის

მშენებლობა. ამასთან, წარმოდგენილი shp ფიალების მიხედვით, გვირაბების სიგრძე ჯამურად შეადგენს დაახლოებით 473 მეტრს (301 მ და 172 მ). შესაბამისად, გზმ-ის ეტაპზე საჭიროა აღნიშნული საკითხის დაზუსტება;

- წარმოდგენილი უნდა იქნას ინფორმაცია ცხოველთა გადასასვლელების მოწყობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში);
- გზმ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საპროექტო ინფრასტრუქტურის მიერ მიწისქვეშა ობიექტების გადაკვეთების შესახებ (არსებობის შემთხვევაში) მესაკუთრეებთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენით;
- გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს მთავრობის 2021 წლის 9 ივნისის N274 დადგენილებით დამტკიცებული „ცხოველების ჯილეხთან ბრძოლის პროფილაქტიკური საკარანტინო წესით“ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვის შესახებ ინფორმაცია;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზმ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული საკითხის გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით.

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, ქობულეთის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, ქობულეთის შემოვლითი გზის ოთხზოლიან მაგისტრალად მოდერნიზაციაზე **სავალდებულოა გზმ-ის ანგარიშში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციის და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზმ-ის ანგარიშში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.